ხაშურის მოამბე

№13 (94) 1 აპრილი, შაბათი, 2017 წელი

შიდა ქართლის გუბერნატორი ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლის მოსახლეობას შეხვდა

24 მარტს, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში იმყოფებოდნენ შიდა ქართლის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი კახა სამხარაძე და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი გურასპაშვილი.

გუბერნატორი, ცოცხნარაში, ცხრამუხაში, ტეზერსა და ქვიშხეთში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტრებს გაეცნო და წარმომადგენლებთან ერთად, ადგილობრივ მოსახლეობასაც შეხვდა. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა აღნიშნა, რომ მიუხედავად განხორციელებული პროექტებისა, პრობლემები მაინც არსებობს და ეტაპობრივად აღმოიფხვრება. სულ მალე იგეგმება ქვიშხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების გაზიფიცირება. მიმდინარეობს პროექტირება და ქვიშხეთის მოსახლეობის დიდ ნაწილს, უახლოეს მომავალში ექნება 24 საათიანი წყალმომარაგება.

გუბერნატორი სოფელ ქვიშხეთში დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმსაც ეწვია. მუზეუმის რეაბილიტაცია მიმდინარე წელს დაიწყება. სახლ-მუზეუმის ინფრასტრუქტურის მოწყობა ევროპული სტანდარტებით მოხდება, რაც ტურიზმის განვითარებასაც შეუწყობს ხელს.

გუბერნატორმა და გამგებელმა, სოფელ ქემფერთან, იმ საავტომობილო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც დაათვალიერეს, რომელიც, თოვლის დნობის გამო, ადიდებულმა მდინარე ტილიანამ დააზიანა. შემთხვევა 6 მარტს მოხდა და მაშინვე მოხერხდა საფეხმავლო ხიდის მოწყობა, თუმცა, ამჯერად, კაპიტალური ხიდის მშენებლობა აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს და სულ მალე საბოლოო სახეს მიიღებს. აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვანია მაცხოვრებლებისთვის, რადგან ხიდის მეშვეობით ხდება ცოცხნარის ადმინისტრაციული ერთეულის სამი სოფლის-ქემფერის, ცედანის და წაბლოვანას დაკავშირება.

მოსახლეობასთან შეხვედრები სამომავლოდაც გაგრძელდება, გუბერნატორმა თანადგომა აღუთქვა ადგილობრივ ხელისუფლებას და აღინიშნა, რომ ცენტრალური ხელისუფლების და ადგილობრივი ძალების ერთობლიობით, ყველა პრობლემა დაიძლევა!

მიეძღვნა ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავს

27 მარტს, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია გაიმართა.

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მნიშვნელობასა და კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II დამსახურებაზე ისაუბრეს ხაშურისა და სურამის ეპისკოპოსმა მეუფე სვიმეონმა, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა თამაზ ლაცაბიძემ და მუზეუმის დირექტორის მოადგილემ - მურად მთვარელიძემ.

კონფერენციაზე ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორიაზე და ავტოკეფალიის აღდგენის საკითხზე მოხსენებებით წარსდგნენ: საპატრიარქოს უნივერსიტეტის სტუდენტი გიორგი ჩუბინიძე, მორჩილი მიქაელ ნატროშვილი, მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნინო კიკნაძე, პირველი საჯარო სკოლის დირექტორი მორის დანდურიშვილი და დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკოლა-პანსიონის პედაგოგი ლევან ლაცაბიძე.

კონფერენციას ესწრებოდნენ სასულიერო მოღვაწეები, წარმომადგენლები მუნიციპალიტეტიდან, საჯარო სკოლებიდან და დაინტერესებული პირები.

⌘ ტურისტული ცენტრი ღორინამკალზე - ფანტასტიკა? არა - რეალობა!

ის, რაც გუშინ და გუშინწინ ფანტასტიკის სფერო იყო, 21-ე საუკუნეში ჩვეულებრივი რეალობაა. ვინმე გუშინ დაიჯერებდა, რომ ღორინამკალზე, რომელიც საქართველოს ლანდშაფტისთვის ერთი „ჩვეულებრივი“ მთის წვერია, ოდესმე ტურისტული ცენტრის აგება იყო შესაძლებელი? არც დაიჯერებდა და ვერც იოცნებებდა. დღეს კი, ფაქტობრივად, ამ, თითქოს და, ზღაპრულ ოცნებას ფრთები ესხმება და 2020 წელს დასრულდება კიდეც.

ლინ ციდენი, „ჩინეთის 24-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალის“ მენეჯერი: - საქართველოში ოთხი წლის წინ ჩამოვედი, მაშინ როდესაც ქვიშხეთის სარკინიგზო გვირაბის მშენებლობა დაიწყო. გამაოცა თქვენი ბუნების სილამაზემ. საოცარი ხედებია. თქვენი ღორინამკალი და ამ სიმაღლიდან დანახული ხედები კი პირდაპირ ვიტყვი - ფანტასტიკაა! თითქოს სადღაც ზეციდან დაჰყურებ ამ სილამაზეს. პირველად ორი წლის წინ მოვხვდი ამ მთაზე და იდეა მაშინვე გაჩნდა. თუმცა, კარგად მესმოდა, რომ ამ იდეის განხორციელება ძალზე მსხვილ კაპიტალდაბანდებას და ურთულეს პროექტთან შებრძოლებას ნიშნავდა. ჯერ კიდევ მაშინ დავუკავშირდი კომპანია „ჩაინ თაუნს“, რომელიც ტურიზმის სფეროში ყველაზე მსხვილი კომპანიაა ჩინეთში. 2015 წელს ამ კომპანიის წარმომადგენლები ხაშურში იყვნენ და დეტალურად დაათვალიერეს ყველაფერი. მოლაპარაკებაც შედგა ეკონომიკის სამინისტროსთან. გასულ წელს კი ამ კომპანიამ საპროექტო ჯგუფი გამოგზავნა 16 კაცის შემადგენლობით. ორი თვის განმავლობაში ეს ჯგუფი ხაშურში იყო და დღეს უკვე პროექტი მზადაა. მხოლოდ მცირე დეტალებიღა დარჩა. პროექტის ღირებულება 8 მილიონი დოლარია და იგი ითვალისწინებს საბაგირო გზის მოწყობას ქვიშხეთიდან ღორინამკალამდე და უშუალოდ ღორინამკალზე - ტურისტული ცენტრის აგებას. ცენტრში იქნება ორი კაფე-ბარი, რესტორანი,

გასართობი „Entertainment“ და საბავშვო ატრაქციონების მთელი კასკადი. ცენტრშივე განთავსდება სასტუმრო 40 პერსონალზე, სადაც იქნება ლუქს ნომ

(დასასრული IV გვერდზე)

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ხმ“ №12)

სურამის სამოხელეო ინსტიტუტის ისტორიიდან
(მასალები წიგნისთვის „სურამი”)

სურამის სამოხელეო ინსტიტუტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თანამდებობა მამასახლისის სახელო იყო. თუ მოურავებად თავად-აზნაურთა ფენიდან ინიშნებოდნენ, მამასახლისებად დაბალი ფენის წარმომადგნელები გვხვდებიან, თუმცა მათაც სამეფო ხელისუფლება ნიშნავდა.

ერთ-ერთი პირველი ცნობა, სურამის მამასახლისის შესახებ, XVII 40-იან წლებს მიეკუთვნება. 1642 წელს, როსტომ მეფემ, სურამის მამასახლისობა პაპუნა მათიაშვილს უბოძა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მამასახლისები თავისუფლდებოდნენ ყოველგვარი გამოსაღებისაგან (გადასახადისაგან) და მამასახლისობასთან ერთად სითარხნის (გათავისუფლების) წყალობასაც იღებდნენ. 1642 წელს, როსტომ მეფის მიერ, პაპუნა მათიაშვილისათვის მამასახლისობის ბოძების საბუთში ნათქვამია: „გიბოძეთ სურამის მამასახლისობა და შენი სითარხანე, არაფრისთანა საჩუენო სათხოვარი და გამოსაღები არა გეთხოებოდეს რა”.

1664 წლის 10 მაისის, როსტომ მეფის სიგელი გიორგი XI –ის მიერ იქნა განახლებული და სურამის მამასახლისობა პაპუნას ძმას, ზაქარიას ებოძა.

სურამის მამასახლისები იყვნენ:

აიდანა. იგი მოწმეა პაპუნას, შიოს, ნიკოლოზის, ოთარის და ლევანის მიერ 1688 წელს თევდორე, პეტრე და საბა კვახიაშვილებს შორის დადებული სისხლის გარიგების წიგნისა. ზაზა აბაზაძის მიერ იასე მურვანიშვილისათვის 1691 წელს ჯაფინაურში მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა.

ლომა (ლომუა) პეტროზაშვილი. მოწმეა პეტრე კვახიაშვილის მიერ მამუკა გიგაშვილისათვის 1713 წელს ვენახის ნასყიდობის წიგნისა, ზაალ აბაზაძის მიერ თამაზ აბაზაძისათვის მამულის მიცემის წიგნისა.

ბერი ვარდანაშვილი. იგი მამასახლისი უნდა იყოს ლომას შემდეგ და საკმაოდ დიდხანს ინარჩუნებს ამ სახელოს. მოიხსენიება მურვან მურვანიშვილისათვის ვახტანგ VI-ის მიერ ტილიანაზე მიწის მიცემის ბრძანებაში. აგრეთვე, ბაქარ მეფის (1717-1719) მიერ მურვანიშვილსათვის ვენახის ბოძების ბრძანებაში, მოწმეა გიორგი ტოგონიძის მიერ, 1730 წელს, მურვან, ბააკა და სხვა მურვანიშვილებისათვის მიცემული ნასყიდობის წიგნისა.

როსტომ ფასუაშვილი – 1724 წელს ემოწმება ელიზბარ აიდანაშვილის მიერ ახალდაბელ გაბრიელ ქიმერიძისათვის „ხაშურის ბოლოს” მიწის ნასყიდობის სიგელს.

ლოტუაშვილი მოწმეა ბერი პაპუაშვილის მიერ მურვან, ბააკა და რევაზ მურვანიშვილებისათვის 1744 წლის 10 სექტემბერს მიცემული წიგნისა.

ბეჟან ჯობაძე. იგი, 1746 წლის 10 მარტს, წიგნს წერს პატრიარქ ანტონს: „ესე წიგნი მოგართვით ჩვენ, სურამის მამსახლისმა ბეჟან ჯობაძემ და სულ ხელიერთპირ სურამელებმა: - ასე რომე სახელმწიფოს მალუჯაათისათვის დიდად შეგვაწუხეს...”

გიორგი არუწაშვილი მოწმეა ბეჟია ჯობაძესა და გასიტა ჩიტირეკაშვილს შორის 1751 წლის I სექტემბერს ჯაფინაურის მიწაზე დადებული შეთანხმებისა. გიორგი ხიდირბეგიშვილის მიერ დიმიტრი ციციშვილისათვის 1752 წელს მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა. ეს უნდა იყოს ჯერ კიდევ 1743 წელს მამულა ბერიკაშვილის მიერ მურვან მურვანიშვილისათვის „სამკვდრო ვენახის” მიყიდვის წიგნის მოწმე მამასახლისი გიორგი.

გვრიტი არუწაშვილი. სურამის მამასახლისია XVIII –ის 60–იანი წლების დასაწყისიდან. მოწმეა გიორგი არახჩიაშვილის მიერ კაკაჩას ძმა ყობიას შვილისათვის „სამკვიდრო ვენახის” მიყიდვის 1760 წლის 17 ნოემბრის წიგნისა ზაალ ტატუაშვილის მიერ იესე, ქაიხოსრო და ზურაბ მურვანიშვილსათვის მიცემული „სამკვიდრო ნავენახარის” ნასყიდობის 1761 წლის მარტის დამდეგის წიგნისა. იხსენიება მურვანიშვილებისა და ხიდირბეგიშვილების საქმის გარჩევის საბუთში.

სტეფანე არუწაშვილი. მოიხსენიება ქაიხოსრო ავალიშვილის მიერ ქაიხოსრო აბაშიძისათვის 1770 - წლის 1 ივნისს მიცემული მამულის ნასყიდობის სიგელში, აგრეთვე პოღოზა თუდარჩიშვილის მიერ იესე მურვანიშვილისათვის 1769 წლის 2 ივნისს მიცემულ წისქვილის ნასყიდობის წიგნში.

გრიგოლი სურამის მოურავის იესე მურვანიშვილის თანამედროვეა. მოიხსენიება იულონ და ვახტანგ ბატონიშვილების 1777 წლის 3 მაისის ბრძანებაში როსტომ ფასუაშვილი არის მოწმე ფარსადან კაკონაშვილის მიერ ნიკოლოზ ბებიაშვილისათვის, გვერეხაულზე, ბედიანაშვილისეული ვენახის 1784წელს მიყიდვის სიგელისა. მამასახლისია XVIII ს-ის 90-იანი წლების შუა ხანებშიც მოწმეა სოლომოს ხეროდინაშვილის მიერ მირზა იბრაიმას შვილის გიორგი ნასახჩიბაშის ნაიბისათვის 1794 წლის 25 ოქტომბერს მიცემული „სამკვიდრო ვენახის” ნასყიდობის სიგელისა. ქაიხოსრო აბაშიძისათვის სურამელი სარქის სარქისაშვილს მიერ ბეკამში მიცემული მათიაშვილისეული ვენახის 1795 წლის 14 მარტს მიცემული ნასყიდობის სიგელისა

ბერი ლოტუაშვილი. იგივე ბერი კაკალაშვილი, სურამის მამასახლისია XVIII ს-ის 80-90 იან წლებში. იხსენიება თეიმურაზ ჩხეიძის მიერ გიორგი აბაშიძისათვის 1788 წელს მიცემულ მიწის ნასყიდობის წიგნში. თეიმურაზ ჩხეიძის მიერ გიორგი აბაშიძისათვის გვერდისუბანში ბარათში ნარგები ქურდაძის მამულის ნასყიდობის 1788 წლის 7 ივლისს წიგნში, სეხნია ჩხეიძის მიერ თავისი ყმების - არახჩიაშვილის ვახუშტისა და გიორგის მამულების გიორგი აბაშიძისათვის ნასყიდობის 1788 წლის 7 აპრილის სიგელში. იულონ ბატონიშვილის ბრძანებაში ქაიხოსრო აბაშიძისათვის ხეროდინაშვილისაგან ნაყიდი წისქვილის მიცემის თაობაზე სამართლის გადაწყვეტილების 1790 5 სექტემბერის საბუთში.. ქაიხოსრო აბაშიძისათვის წიფეველი ქურდაძე ბეჟიტაშვილის შიოს მიერ, 1790 წლის 11 ოქტომბერს, მიცემული მამულის ნასყიდობის სიგელში, კაკალაშვილის გვარით დაფიქსირებულია იულონ ბატონიშვილის 1791 წლის 19 დეკემბრის ბრძანებაში ქაიხოსრო აბაშიძესა და სურამელებს შორის წისქვილზე დავის საქმეში. არის მოწმე შიო წვერიანაშვილის მიერ ნიკოლოზ აბაშიძისათვის 1792 წლის 15 თებერვალს მიცემულ „წილში ნარგები ოთიაშვილისეული ვენახის” ნასყიდობის სიგელისა, გორგასალ ჩხეიძის მიერ გიორგი ვეზირიშვილისათვის „ბიძაშვილებისაგან ბარათში გამოტანილ” თავსი წილი ლუბრუმის 1794 წლის 13 აპრილს ნასყიდობის სიგელისა.

გაბრიელი. სურამის მამასახლისია XVIII ს-ის 90-იანი წლების შუა ხანებიდან. მოწმეა ანა აბაშიძისათვის ოჰანეზა მასურაშვილის თავისი ნებით ყმად მიყიდვის 1793 წლის 28 აგვისტოს სიგელისა. მისი ბეჭედი უზის მურვანიშვილებისა და აბაზაძეების დავის გადაწყვეტილების 1794 წლის 29 აპრილს წიგნს. იხსენიება ფარნავაზ ბატონიშვილის სახელზე ისხაკ მანაშერაშვილის მიერ 1799 წლის 17 სექტემბერს შედგენილ საჩივარში ნასყიდა შუღარაშვილი. XIX საუკუნის დასაწყისშია მამასახლსი. იხსენიება სურამელი ჯანია შამელაშვილის მიერ ბერი ბლიაძისათვის ქემფერში მიცემული „ანჩაფაშვილის დავითსა და ბეჟანისეული დღენახევრის მიწის” 1803 წლის 23 მაისის ნასყიდობის სიგელში. არის მოწმე, გიორგი სალიბეგაშვილის მიერ, როსტომ ფასუაშვილისათვის 1810 წლის 20 მარტს მიცემული „ხეროდინაშვილისეული სადუქნეს” ნასყიდობის სიგელისა.

მანუჩარი. სურამის მამასახლისია XIX საუკუნის 30-იან წლებში. იხსენიება ბააკა მურვანიშვილის მიერ ხაჩიძეებისათვის 1832 წლის 13 ივნისს მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნში.

ხეროდინა – იხსენიება დემეტრეს მიერ თავის განაყოფ დავითისათვის მიცემულ ნასყიდობის სიგელში.

გარსევან –იხსენიება სიროზან ბებიაშვილის მიერ სურამის „მღვთაების საყდარ-სასაფლაოს” შესახებ 1665 წელს მიცემულ წიგნში გვრიტი –იხსენიება ლევან აბაზაძის 1789 წლის 22 მაისის არზაში), 1791 წლის 20 ოქტომბრის მდივანბეგთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში სოლომონ თარხნიშვილსა და ოჰანეზა ფაფაკერაშვილის საქმეზე, ირკვევა რომ სურამის მამასახლისი გვრიტია.

გრიგოლი. იხსენიება იულონ და ვახტანგ ბატონიშვილების 1777 წლის 3 მაისის ბრძანებაში, მოწმეა დავით ყიფიანის მიერ ისე მურვანიშვილისათვის მიცემულ პურის მიბარების წიგნისა .

გიორგი. მოწმეა 1743 წლის მარტის დამდეგით დათარიღებული ბერიკაშვილების მიერ მურვანიშვილებისათვის მიცემული „სამკვდრო ვენახის” ნასყიდობის წიგნისა. ამავე პერიოდისა უნდა იყოს მურვანის, ნახუცრიშვილი ზურაბის და ზურაბ მდივანის (ხეროდინაშვილი-თ.ლ) მიერ სურამის მამასახლის გიორგისათვის „შარშანდელი ასორმოცდაათის კოკა ტკბილის” გამორთმევის შესახებ შედგენილი დოკუმენტი.

სურამის საქალაქო მმართველობაში მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა ნაცვალი, რომელიც ასევე მეფისგან ინიშნებოდა. იგი საპოლიციო ხელისუფლებას წარმოადგენდა და მის უმთავრეს მოვალეობას შედგენდა თვალყური ედევნებინა ქალაქში წესრიგის დაცვისათვის. სურამთან დაკავშირებით დოკუმენტებში ნაცვლის ინსტიტუტი XVII საუკუნიდან გვხვდება.

იონათამი. მოწმეა თევდორე კევხიშვილსა და პაპუას შორის სასისხლო დავის 1688 წლის გარიგების წიგნისა. მისივე თანხმობითა და მოწმობით სულხან გოგალაძემ არდაშელ ბუნიათიშვილს 1687 წელს მიჰყიდა ჭომაში ოცდაშვიდი დღის მიწა.

გედევანი - მოწმეა გასიტა ჩიტირეკაშვილისა და მისი განაყოფის ბეჟია ჯობაძის 1751 წლის 1 სექტემბრის მორიგების წიგნისა . აგრეთვე ბეჟია ჟობაძესა და გასიტა ჩიტირეკაშვილს შორის ჯაფინაურის მიწაზე 1751 წლის 1 სექტემბერს დადებული შეთანხმებისა.

ივანე დავითისშვილი. მოწმეა სოლომონ აბაზაძის მიერ ავთანდილ ფავლენიშვილისათვის 1754 წლის 9 იანვარს მიცემული თამასუქისა.

ზაალ წინამძღვრიშვილი. მოწმეა გიორგი ქართველიშვილის მიერ ყობია ურიაყოფილისათვის „სამკვიდრო ალაგის” 1757 წლის 18 მარტის ნასყიდობის სიგელისა.

გიორგი. მოწმეა გიორგი ტაბატაძის მიერ იესე მურვანიშვილისათვის მიცემული ყმობის პირობის წიგნისა.

ელიკა - მოწმეა დემეტრეს მიერ თავის განაყოფ დავითისათვის მიცემულ ნასყიდობის წიგნისა.

ჯომარდიძე – მოწმეა სიროზან ბებიაშვილის მიერ თავისი განაყოფისათვის - ნიკოლოზ ბებიაშვილისათვის მღვთაების საყდარ - სასაფლაოს დანებების პირობის წიგნისა.

მანუჩარ არუწოვი, სურამის ნაცვალია XIX ს-ის დასაწყისში. იგი მოწმეა დავით ივანეს ძე აბაზაძის მიერ ავთანდილ და ბეჟან აბაზაძეებისათვის 1806 წელს მიცემული ხელწერილისა.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოხელეებისა, სურამში ვხვდებით სხვა მოხელეებსაც (ციხისთავი. მებაჟე, მწერალი და სხვა) სურამის, როგორც ქალაქის, სამოხელეო ინსტიტუტში ციხისთავის სახელო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელო იყო. რადგან სურამის ციხე სახელმწიფო ციხედ ითვლებოდა, მის ციხისთავს სამეფო კარი ნიშნავდა. პროფ. შ. მესხია აღნიშნავს, რომ „ამა თუ იმ ქალაქის ციხისთავი იმის მიერ ინიშნებოდა, ვისაც ქალაქი ეკუთვნოდა თუ ემორჩილებოდა. როცა საქართველოს ზოგიერთი ქალაქი უცხო დამპყრობელთა ხელში იყო, ციხისთავი უცხოელ მებატონეთა მიერ დანიშნული და ქალაქში უცხოელთა ბატონობისა და პოლიტიკის განმხორციელებელი იყო. ხოლო, როცა ესა თუ ის ქალაქი საქართველოს მეფეთა კუთვნილებას შეადგენდა, ქალაქის ციხე და მისი ციხისთავი ქალაქის მფლობელი, ქალაქის მოსახლეობაზე ბატონობის გამტარებელი იყო“, აღნიშნული მთლიანად ვრცელდება სურამის ციხეზეც.

არაერთ დოკუმენტში დაფიქსირებულია სურამის ციხის ციხისთავი, გვხვდება აგრეთვე უცხოური ტერმინითაც–„მინბაში“.

ერთ–ერთი პირველი დოკუმენტი, რომელშიც იხსენიება სურამის ციხის ციხისთავი, მიეკუთვნება XVII საუკუნის 30–იან წლებს. ეს არის როსტომ მეფის 1633 წლის წყალობის წიგნი, რომლითაც ფარეშთუხუცესს პაატა ჯავახიშვილს ახალდაბის მოურავობა აქვს ნაბოძები. მასში ნათქვამია: „აწე მიბრძანებია კარისა ჩუენისა ვექილ–ვეზირნო, სხუანო მოსაქმენო, სურამის ციხისთაო, მოურაო, თქვენცა ასრე გაუთავეთ, რარიგათაც ამა ჩუენისა ნაწყ-

სურამის სამოხელეო ინსტიტუტის ისტორიიდან

(მასალები წიგნისთვის „სურამი”)

ალობევსა ფარვანაში ეწეროს და ნუ შეეცდებით, თანა დგომისა და შეწევნისაგან კიდე“. როსტომ მეფის 1635 წლის სიგელში, რომელიც ეხება ნასყიდა არუწაშვილისათვის ვენახის დაბრუნებას, სამეფო კარის მოხელეების გვერდით გვხვდება სურამის ციხისთავიც. „აწე გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო, მდივანო და სხუათა მოსაქმენო, სურამის ციხისთავო, ვინცავინ დღეს იყვნეთ და ანუ ამას უკან იქნებოდეთ, თქვენცა ასრე გაუთავეთ და ნურას მოუშლით“.

სურამის ციხისთავი ასევე გვხვდება იგივე როსტომ მეფის მიერ შამბულიძეებისათვის სურამში 1644–1645 წლებით დათარიღებულ მამულის წყალობის წიგნში, ელენე დედოფლის მიერ აბაზაძის გვარისათვის 1693 წლის მიცემულ სიგელში და სხვა.

დოკუმენტიდან ჩანს, რომ სურამის სამოხელეო ინსტიტუტში სურამის ციხისთავს საპატიო ადგილი უჭირავს და მისი გავლენა საკმაოდ დიდია ამ მხარეში.

სურამის ციხეს გარდა ციხისთავისა (მინბაშისა), ჰყავს აგრეთვე ასისთავი(უზბაში). ეს დასტურდება ერეკლე II მიერ მდივანბეგ ნიკოლოზისადმი (აბაშიძე) 1785 წლის 6 აგვისტოს გაგზავნილი წერილით. წერილის მიხედვით ქვეშხეთელი აბაშიძეების წარმომადგენელს, ნიკოლოზ აბაშიძეს, რომელიც მდივანბეგის სახელოს ფლობს, თვითნებურად დაუკავებია სურამის ციხე. ამ თვითნებობას მოჰყვა ერეკლე მეფის წერილი, რომელშიც ნათქვამია: „ახლა სურამის მოურავისა გვესმის, რომ სურამის ციხეში აღარ უშვებ და დაგითხოვნია. შენ მაგ ციხეში სრულობით საქმე არა გაქვს რა. მაგ ციხიდამ უნდა გამოხვიდე, მამულები გაქვს და თქვენს მამულში, საცა გინდოდეს, მიბრძანდი და დადეგ, მინბაშისა და უზბაშებისათვის მოგვიწერია, ეს ასე უნდა აღსრულდეს: თქვენი მანდ დგომა აღარ იქნება“.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზემოთ მოტანილი წერილის მიხედვით, სურამის ციხეს რამდენიმე უზბაში (ასისთავი) ჰყავს.

XVIII საუკუნის 50–იანი წლების დასაწყისისათვის ციხე სამეფო კარის მიერ სურამელი აზნაურების – მურვანიშვილების გვარის მფლობელობაშია გადაცემული. 1752 წლის 10 აგვისტოს, ერეკლე II რევაზ მურვანიშვილს ავალებს სურამსა და მის ციხეს გაუფრთხილდეს და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს: „ჩვენი ბძანება არის მურვანისშვილო რევაზ! – წერს ერეკლე II, - შენ მანდ სურამს იყავი, მანდაურობასა და ციხეს გაუფრთხილდი. სახასო სურამელი და ბეკმელი კაცი ხომ ლაშქარს არ დაგვიბარებია. ეგენიც მანდ არიან, მანდაურობაზე ბეჯითი იყავი, ყარაული იყოლიე, ნურას წაახდენ“.

XVIII საუკუნის 50–იანი წლების ბოლოს, მცირე ხნით, სურამის ციხე იტრიელი ჩხეიძეების ხელშია. 1759 წლისათვის ციხე მურვანიშვილებისათვის ჩამოურთმევიათ და დავით ჩხეიძისათვის მიუციათ. ამავე წლის 21 აპრილის ბრძანებით, ერეკლე II ზაალ მახვილაძეს ავალებს დავით ჩხეიძეს ჩამოართვას ციხე და კვლავ მურვანიშვილებს დაუბრუნოს. „ჩვენი ბრძანება არის მახვილაძე ზაალ! მერე აქ ასე მოგვხსენდა: სურამის ციხე მურვანიშვილებისათვის გამოურთმევიათ და ჩხეიძისთვის მიუბარებიათ. თუ მართალი იყოს, რა წამს ეს ჩვენი ოქმი მოგვიდეს, მაშინვე უნდა წახვიდე, ჩხეიძეს ციხე გამოაბარო და ისევ მურვანიშვილებს მიაბარო. ეს წიგნები რომ მოგვეწერა ერთი დავით ჩხეიძეს მიეცი და ერთი მურვანიშვილებს. როგორც გვიბძანებია ასე გაარიგე“.

ერეკლე II იესე მურვანიშვილისათვის გაგზავნილ წერილში წერს: „ჩვენ მაგივრათ ჩვენს დიდს იმედს და დიდათ იმედათ მის(ა)ჩინელს მურვანისშვილს იესეს ასე უანბეთ. მერე აქ ასე მოგვხსენდა: შენთვის ციხე გამოუბარებიათ რადმე და სხვისთვის მიუბარებიათ. ჩვენ მაგისი ყაბული არა გვაქვს. რა სწამს ეს ჩვენი ბძანება მოგვიდეს, მაშინვე ციხეში უნდა შეხვიდე და როგორც მიგიბარებია ჩხეიძეებისთვინ, ისევ უნდა გამოაბარო და შენ მი(ი)ბარო. დიაღ, დიდი ხანი არის ეგ ციხე შენ გ(ა)ბარია და ისევ შენ უნდა გებაროს. ჩხეიძე დავითვისთვინაც წიგნი მოგვიწერია. როგორც მიგიბარებია, ისევ უნდა მოგაბაროს და როგორც შეგინახავს, ისევ კარგის სიფრთხილით უნდა შეინახო.

სურამის ციხის მიმართ სამეფო კარი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა, ასეთივე ყურადღება ჩანს ციხისთავის მიმართაც.

საბუთებში გვხვდება აგრეთვე ციხის სხვა მოხელეებიც, კერძოდ, თავლანდარი. სურამის ციხის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის იულონ ბატონიშვილის მიერ 1793 წელს სურამელი ბერი ლოტუაშვილისათვის მიცემული წყალობის წიგნი, რომელიც თელავის სახელმწიფო ისტორიულ–ეთნოგრაფიულ მუზეუმშია დაცული. მასში საუბარია სურამის ციხისთავის შესახებ და ამ მხრივ დოკუმენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. იგი ერთადერთ სრულყოფილ წერილობით წყაროს წარმოადგენს სურამის ციხისთავის სამოხელეო ინსტიტუტის შესახებ.

წყალობის წიგნის მიხედვით ბერი ლოტუაშვილი სურამის მამასახლისი ყოფილა და რაღაც მიზეზის გამო, ეს სახელი მისთვის ჩამოურთმევიათ, თუმცა იულონ ბატონიშვილი იქვე მიუთითებს, რომ იგი სამეფო კარის „ერთგული მოსამსახურე კაცი“ იყო და მამასახლისის სახელის ჩამორთმევა მისი სურვილით არ მომხდარა. როგორც ჩანს, ამ საქმეში ისეთი პირი ყოფილა ჩარეული, რომელსაც უარი „არ ეთქმოდა და იმისის შუამავლობით სურამის მამასახლისობა სხვას ებოძა“.

ამის შემდეგ,–განაგრძობს იულონ ბატონიშვილი, „–მისმა სიმაღლემ, სრულიად საქართველოს მეფემ ბატონმა მამაჩვენმა და საქართველოს დედოფალმა ბატონმა დედაჩვენმაც ინებესთ, და ჩვენ იმ სახელოს სამაგიეროდ წყალობად თქვენ (ე.ი. ბერი ლოტუაშვილს–თ.ლ.) სურამის მეციხოვნობა გიბოძეთ, რომ ის ციხე თქვენ უნდა გებარებოდესთ. როგორც მეციხოვნობის რიგი და მართებულია იმ წესით უნდა იქცეოდეთ. ამას გარდა, კიდევ გიბოძეთ ციხის თავლანდრობა, რაც იქ სათავლანდრო საქმე არის სულ თქვენ უნდა გებარებოდესთ და გეკითხებოდესთ. ამ სახელოების მოვლაზედ დიდად ბეჯითად უნდა იყოთ, და რაც შეგეძლოსთ, თქვენ გარჯას უნდა არას აკლებდეთ. მარადის ის ციხე თქვენ გაბარიათ და თავლანდარიც თქვენა ხართ“.

ამრიგად, 1793 წლიდან სურამის ციხისთავი ბერი ლოტუაშვილია, რომელსაც ეს სახელო უჭირავს 1797 წლამდე.

როგორც ცნობილია, ქალაქის ციხისთავს სამეფო ხელისუფლება ჯამაგირსა და ულუფას უნიშნავდა. იულონ ბატონიშვილის წყალობის წიგნის მიხედვით, ჯამაგირი და ულუფა აქვს დანიშნული სურამის ციხისთავსაც. როგორც ცნობილია, სურამში არსებობდა საბაჟო და აქაც ქალაქში შემოტანილ საქონელზე დაწესებული იქნებოდა საგანგებო ბაჟი, რომელიც „სამინბაშო ბაჟის“ სახელწოდებით არის ცნობილი. სამინბაშო ბაჟს სამეფო ხელისუფლება განსაზღვრავდა და გათვალისწინებული იყო არა მარტო „ციხის კარის გასამშვენებლად“, არამედ თავად ციხისთავისთვისაც.

წყალობის წიგნის მიხედვით, სურამის ციხისთავი განთავისუფლებულია ყოველგვარი გადასახადისაგან და სურამის საბაჟოდან წელიწადში დანიშნული აქვს სამი თუმანი. „ჩვენ ყოვლისათხოვრიდამ ასე გაგვითარხნებიხართ, და გაგვითავისუფლებიხართ, რომ არავითარი სათხოვარი თუ ბეგარა არა გეთხოვებათ რა. ამას გარდა, ჯამაგირიც გიბოძეთ წელიწადში სამი თუმანი. იქაურის ბაჟიდამ ყოველსა წელიწადს უნდა აიღებდეს“–ნათქვამია დოკუმენტში.

ეს არის ერთადერთი პირდაპირი მითითება სურამის ციხისთავის ჯამაგირის შესახებ. იულონ ბატონიშვილი იქვე მიუთითებს ბერ ლოტუაშვილს, რომ

„ჩვენს სამსახურზე, რასაც ერთგულად კიდევ უფრო გარჯას გვიჩვენებთ, სხვა წყალობაც დაგემართებათ“.

ამრიგად, ერთგული და თავდადებული სამსახურისთვის ციხისთავს სამეფო კარისაგან შეიძლებოდა კიდევ სხვა არაერთი წყალობა მიეღო.

სურამის ციხეში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მუდმივად უნდა მდგარიყვნენ მეციხოვნეები. მისი გარნიზონის შემადგენლობა რაოდენობრივი თვალსაზრისით, როგორც ჩანს, ხშირად იცვლებოდა. ერთ-ერთი პირველი ცნობა სურამის ციხის გარნიზონის რაოდენობის შესახებ ფრანგ მოგზაურთან - ჟან შარდენთან, არის დაფიქსირებული. მისი თქმით, სურამის ციხის გარნიზონი ასი კაცისაგან შედგებოდა.

სურამის ციხის გარნიზონი ძირითადად სამეფო ყმა–გლეხებისაგან შედგებოდა, ამას ემატებოდა ადგილობრივი თავად –აზნაურების ყმა–გლეხებიც. მათი შენახვა მოსახლეობას ეკისრებოდა. 1774 წელს, ერეკლე მეფე ერთ–ერთ ბრძანებაში, რომლითაც სურამის მოურავს ციხეში ხალხის დაყენებას ავალებს, ნათქვამია: „ერთიც ეს სამი კაცი ჩვენის სახასოდამ და ორი შენი კაცი, ხუთი კაცი ციხეში დააყენე. ამათთვის სურამში მყოფთ მემკვიდრემ და ხიზანმა თითო ლიტრა ფქვილი და თითო თუნგი ღვინო უნდა მისცეს“

დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სხვადასხვა დროს სურამის ციხისთავები იყვნენ მურვანიშვილების, ჩხეიძეებისა და სხვა გვარის წარმომადგენლები

XVIII საუკუნის II მეოთხედში, რაღაც პერიოდი, ციხისთავის სახელო ხიდირბეგიშვილს უჭირავს. ამილახორი ხიდირბეგი (ციხისთავი - თ.ლ.) მოწმეა დემეტრეს მიერ თავისი განაყოფ დავითისათვის ურთხვას „ბოლოკაძის ტეტენასსეული მამულის“ ნასყიდობის სიგელისა.

იულონ ბატონიშვილის 1797 წლის ერთ წერილში სურამის ციხის ყოფილ ციხისთავად სურამელი ბერი კაკალაშვილია დასახელებული. უნდა შევნიშნოთ, რომ ბერი კაკალაშვილი და 1793 წლის იულონ ბატონიშვილის წყალობის წიგნში მოხსენიებული ბერი ლოტუაშვილი ერთი და იგივე პიროვნებაა, რაც არაერთ დოკუმენტით დასტურდება.

1797 წლისათვის სურამის ციხისთავი ნინია კორინთელია.

XIX საუკუნის დასაწყისში სურამის ციხისთავის სახელო აბელ მურვანიშვილს უჭირავს ისეთი მოხელე, როგორიც არის მწერალი ანუ მდივანი, ჩანს, რომ სურამში ტრადიციულად ხეროდინაშვილების გვარი ფლობს.

შერმაზან ხეროდინაშვილი (ხეროდინაშვილი მდივანი შერმაზან) -„სურამის მდივანი” მოწმეა მამუკა ხიდირბრგიშვილის მიერ 1723 წელს - „სურამის ბოლოს” ღონიშვილების ნაქონი მამულის ნასყიდობის სიგელისა. იგი 1730 წლის 21 მაისს წერს მამუკასა და თამაზას მიერ თავისი ბიძაშვილების - მურვანისა და სხვათადმი მამულის გირავნობის წიგნს 1719 წ. 18. 03.

ბეჟანი. მწერალი, არის, „დამწერი” გელია ძულიაშვილის მიერ დათუნა ბლიაძისათვის „ვენახიხ ნახევრის” მიყიდვის სიგელისა. „მე სურამელსა მწერალს ბეჟანს დამიწერია”. – ნათქვამია სიგელში.

სოლომონ ხეროდინაშვილი-მდივნისშვილი 1781 წლის 29 ნოემბერს მან კვეზერელს ოთარაშვილს დავითს მიჰყიდა თავისი „ალალი ნასყიდი სურამელი მკვიდრი ყმის შვილი მჭედლის თხილაშვილი ხეჩატურა” და აიღო „ფასი ღირებული,” რითაც მისი „გული შეჯერდებოდა”. იხსენიება იულონ და ვახტანგ ბატონიშვილების 1777 წლის 3 მაისის ბრძანებაში. მან 1797 წლის 9 მარტს სურამში მამული მიჰყიდა გიორგი ვეზირიშვილს.

ზურაბ - წერს გიორგი არახჩიაშვილის მიერ 1760 წლის 17 ნოემბერს კაკაჩის ძმა ყობიას შვილისათვის. „სამკვდრო ვენახის” ნასყიდობის წიგნს,

სურამში, როგორც ჩანს, ოდითგანვე უნდა ყოფილიყო საბაჟო. წყაროებში XVIII საუკუნის დასაწყისიდან გვხვდება, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას , რომ მანმადე აქ საბაჟო არ იყო.

1703 წლის 1 იანვარს, ვახტანგ ბატონიშვილმა შესწირა „ჩვენის სულის საოხად ყოველს წელიწადს სურამის საბაჟოდამ ხუთ ლიტრა სანთელი წმიდის დავითის საფლავისათვის’.

1778 წლის 14 დეკემბერს, ერეკლე II ნიკოლზ თუმანიშვილს ავალებს: „მარილის ბაჟიდამ სურამის ციხეში მდგომთ ექვსი კოკა ღვინო მიც”.

როგორც სხვაგან, აქაც საბაჟო იჯარით გაიცემოდა. 1799 წლის 17 სექტემბრით დათარიღებულ ფარნაოზ ბატონიშვილის სახელზე ისაკ მანაშერაშვილის მიცემულ საჩივარში არუთენა ლოტუაშვილი აცხადებდა, რომ მას სურამის საბაჟო ეჭირა.

1800 წლის 7 ივნისს, დავით ბატონიშვილი სურამის მოურავებს ევგენ და დავით აბაშიძეებს სურამისა და ხეფინის ხევის ბაჟისა და სამღებროების განკარგვას ავალებს:

„ბატონს სურამის და ხეფინის - ხევის მოურავს, აბაშიძეებო ევგენ და დავით! მერმეთ, როგორც რიგი იყოს და ჩვენი შესამატი, სურამის ბაჟს, სამღებროს და ეგრეთვე ხეფნისხევის სამღებროს თქვენ უნდა გასცემდეთ და ჩვენ მოგუართმევდეთ. ჩვენი შემოსავლიდამ ათის თავს თქვენ აიღებდით”.

სურამის სამოხელო აპარატში ჩანან გზირი, ნაზირი, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობიდან ინიშნებოდნენ. გზირები ჩანან:

ნაზუა-მოწმეა არუწა არუწაშვილის მიერ ბექუტაშვილისათვის თურაზაულის მამულის ნასყიდობის წიგნისა.

გიორგი გრძელიშვილი. 1775.წლის 16 იანვარს მან საჩივარი მიართვა ლევან ბატონიშვილს წისქვილის თაობაზე. ნაზირი ჩანს:

რევაზ მურვანიშვილი. 1794 წლის 20 თებერვლს მას ვახტანგ ბატონიშვილი ავალებს წავიდეს და როგორც მისი „სიგელი უცხადებს” აყაროს და მიაბაროს მისივე ნაბოძები ყმა ნიკოლოზ აბაშიძეს. იასაული ჩანს:

ზურაბ მურვანიშვილი იხსენიება სოლომონ აბაზიძის 1768 წლის 12 მარტს არზაში ერეკლე მეფისადმი.

XIX საუკუნის დასაწყისიდან, რუსული მმართველობის დამყარების კვალდაკვალ, იცვლება სურამის სამოხელეო ინსტიტუტი და მთლიანად ექვემდებარება ახალ ხელისუფლებას.

თ ლაცაბიძე

აგარა-ზემო ოსიაურის 12 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა ივნისში დასრულდება

აგარა-ზემო ოსიაურის 12 კილომეტრიან მონაკვეთზე აშენდება 8 ხიდი, წყალგამტარი მილები და მიწისქვეშა გასასვლელები, მოეწყობა ნაპირდაცვითი ნაგებობა, შემცირდება მგზავრობის დრო და სატრანსპორტო ხარჯები.

აგარა-ზემო ოსიაურის 7 კმ-იან მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა 2016 წლის ივნისში გაიხსნა, დარჩენილ 5 კმ-ზე კი სამშენებლო სამუშაოები აქტიურად გრძელდება.

ამის შემდეგ დაიწყება ზემო ოსიაური-ხევის მონაკვეთის მშენებლობაც, რომლის პროექტი უკვე მზადაა. ეს მონაკვეთი ერთ-ერთი რთული პროფილია მთელს ავტობანზე. მისი დასრულება 2018 წლისთვისაა ნავარაუდევი.

⌘ ტურისტული ცენტრი ღორინამკიდზე-ფანტასტიკა? არა - რეალობა!

(დასასრული)

რები და მცირე აპარტამენტიც კი. სრულად იქნება დაცული უსაფრთხოების ნორმები და მთელი გადასახედი მოედანი მინის ბარიერებით შემოიღობება. ამ ეტაპზე უკვე დასრულდა მოლაპარაკებები ეკონომიკის სამინისტროსთან და 28 აპრილს ოფიციალური ხელშეკრულებაც გაფორმდება. სამშენებლო სამუშაოები სექტემბერში დაიწყება და 2020 წლის გაზაფხულზე ღორინამკლის ტურისტული ცენტრი (არაა გამორიცხული სახელი შეეცვალოს) პირველ ტურისტებს მიიღებს.

მართლაც საოცარი პროექტია, 8 მილიონი დოლარი, რომელიც ჩვენს მუნიციპალიტეტში უნდა დაბანდდეს, ადგილობრივი ეკონომიკისათვის უდიდესი სტიმული იქნება. და თუ ამას დავუმატებთ მშენებლობაზე დასაქმებულ 200-მდე მუშახელს და შემდეგ კი ცენტრის კომპლექსის (საბაგირო გზა, პარკინგი, გასართობი ატრაქციონები, კვების ბლოკი, სასტუმრო) 160 მომსახურე პერსონალს, მართლაც შესანიშნავ შედეგს მივიღებთ. რაც მთავარია, აღნიშნული ტურისტული ცენტრი, ზოგადად, ტურიზმის ბუმს გამოიწვევს ჩვენს მუნიციპალიტეტში და დამატებით მრავალ სამუშაო ადგილს შექმნის.

2020 წლის გაზაფხული არც ისე შორსაა. დაველოდოთ ამ თარიღს და ერტად შევაბიჯოთ ზრაპრიდან რეალობაში.

გ. გოგოლაძე

⌘ შაქრის ქარხანა ხაშურში - მნიშვნელოვანი ნაბიჯი ეკონომიკის აღორძინებისათვის

იყო დრო როდესაც შაქრის ჭარხლის წარმოების მხრივ ჩვენს მუნიციპალიტეტს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი ეკავა მთელს ქვეყანაში - წელიწადში აქ 20 ათას ტონაზე მეტი შაქრის ჭარხალი მოჰყავდათ. რაც მთავარია, პროდუქციის ხარისხი უმაღლესი იყო და მისი შაქრიანობა საშუალო მაჩვენებელს აჭარბებდა. დრომ, ეპოქამ, სსრ კავშირის დაშლამ, თავისი კორექტივები შეიტანა ქვეყნის ცხოვრებაში და სოფლის მეურნეობაც, ფაქტობრივად, ნულიდან „ასაშენებელი“ გახდა. ოცი წლის წინანდელ მდგომარეობასთან შედარებით, დღეს რადიკალურად სხვა სიტუაციაა და სოფლის მეურნეობაში დიდი ინვესტიციები იდება. სწორედ ერთ ასეთ ინვესტიციაზე გვექნება დღეს საუბარი, რომელიც ჩვენს ქალაქში და მთელს მუნიციპალიტეტში უნდა განხორციელდეს. საქმე ეხება შაქრის ქარხნის მშენებლობას, რომელიც ავტოსადგურის მიმდებარედ, გორგასალის ქუჩის ბოლოს, სოფელ თაგვეთის გადასასვლელ ხიდთან იგეგმება და წელიწადში, როდესაც ქარხანა სრულად ამოქმედდება, 50 ათას ტონამდე შაქრის წარმოებას შესძლებს, თუმცა მივყვეთ დაწვრილებით.

დავით კობალაძე (კოოპერატივ „შინდარა XXI“-ის თანადამფუძნებელი)- დიდი ხანია ამ იდეის განხორციელებაზე ვფიქრობდით. არავისთვის უცნობი არაა, რომ შაქრის ჭარხლისგან მიღებული შაქარი, თავისი ხარისხით, ბევრად აღემატება შაქრის ლერწმისგან მიღებული შაქრის ხარისხს. გათვლაც სწორედ ამაზე გვაქვს. თითქმის სამი წელი ვეძებდით პოტენციურ ინვესტორს და გასული წლის ბოლოს გაგვიმართლა. კანადურ კომპანია „GGL”-თან სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაგვაკავშირა. მისი წარმომადგენლობა, სამი კაცის შემადგენლობით, გასული წლის ნოემბერში ათდღიანი ვიზიტიოთ იმყოფებოდა ჩვენთან. მათ დეტალურად შეისწავლეს მთელი მუნიციპალიტეტის ეკონომიკური შესაძლებლობები, აიღეს მიწის ანალიზები, დადეს მარკეტინგული დასკვნები და საბოლოო შედეგიც გვაცნობეს: კომპანია „ GGL “ მზადაა ხაშურში შაქრის ქარხანა ააშენოს, რომლის სიმძლავრე 50 ათასი ტონა იქნება და დაახლოებით 300-350 მუშახელს დაასაქმებს. თუმცა, მანამდე ჩვენც გვქონდა წაყენებული პირობა, რომელიც შევასრულეთ. პირობა კი სააქციო საზოგადოების შექმნას ითვალისწინებდა, რომელსაც საკუთრებაში, სულ მცირე, 3 ათასი ჰექტარი სავარგული უნდა ჰქონოდა. გასული წლის 28 ნოემბერს, ხაშურში, ჩვენი მუნიციპალიტეტის, გორის, ქარელის, კასპის და ბორჯომის 203 კოოპერატორი შევიკრიბეთ. ეს ხალხი, ისინი არიან, ვინც სააქციო საზოგადოებაში გაწევრიანების სურვილი გამოთქვა, თორემ მთლიანად 282 კოოპერატორი იყო შეკრებაზე. შევიმუშავეთ წესდება, დებულება და 14 დეკემბერს საჯარო რეესტრმა დაგვაფუძნა კიდეც სააქციო საზოგადოება „რაფინადი-2“-ის სახელით.

თითოეული აქციონერი თავის მფლობელობაში არსებული მიწის ფართობით შემოვიდა მოწილედ. ამჟამად საზოგადოებას 3104 ჰექტარი მიწა აქვს, რომელზეც მთლიანად შაქრის ჭარხალი დაითესება. თესლის მოწოდებას ინვესტორი თავის თავზე იღებს. ესაა კანადური მაღალპროდუქტიული თესლი, რომლითაც სრულიად შესაძლებელია ჰექტარზე 60-70 ტონა პროდუქციის მიღება. ალბათ შეამჩნევდით, როგორი გამალებული მუშაობაა ამჟამად თაგვეთის ხიდის მიმდებარედ. პირველი კონტურები უკვე გამოჩნდა. მთელი კონსტრუქცია უკვე ადგილზეა და ქარხანა აგვისტოს ბოლოს ამოქმედდება. ჩვენი მუნიციპალიტეტის ეკონომიკისათვის ეს ქარხანა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ასეულობით ადამიანი მძლავრი სტიმული იქნება აღმავლობისკენ...

ჩვენ მხოლოდ ერთს დავამატებთ: ამჟამად აგარის შაქრის ქარხანას მონოპოლიური მდგომარეობა უჭირავს ქართულ ბაზარზე. ხაშურის ქარხნის ამოქმედების შემდეგ კი კონკურენცია მძლავრად ამოქმედდება და რიგითი მოქალაქეები გაიაფებული და, რაც მთავარია, უფრო მაღალი ხარისხის პროდუქციით მოგებულები დარჩებიან.

გ. მაღრაძე

ტრენინგების კურსი ,,აქტიური სწავლება საგნებში" 7 ათას მასწავლებელზეა გათვლილი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს ყველა საჯარო სკოლის 7 000-ზე მეტ მასწავლებელს "აქტიური სწავლება საგნებში" ტრენინგის კურსს შესთავაზებს.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრეს-სამსახური ავრცელებს.

პრეს-სამსახურის წარმომადგენლის ცნობით, ტრენინგები, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის ფარგლებში ტარდება.

საგნობრივი ტრენინგები 2017 წლის აგვისტოსა და სექტემბერში ჩატარდება და დაგეგმილია, მთელი ქვეყნის მასშტაბით, VII-XII კლასების მათემატიკის, ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, გეოგრაფიისა და ინგლისურის ენის საჯარო სკოლის 7000-ზე მეტი მასწავლებლის გადამზადება, რომლებმაც, მასწავლებელეთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის ფარგლებში, უკვე გაიარეს ზოგადპროფესიული უნარების კურსის მოდულები 2016-2017 წელს.

ტრენინგი ითვალისწინებს უმცირესობების წარმომადგენელი პედაგოგების მონაწილეობას. შესაბამისად, საგანგებოდ მათთვის ითარგმნება სატრენინგო მასალა და გადამზადდებიან რუსული, სომხური და აზერბაიჯანული ენის მცოდნე ტრენერები.

ამჟამად, უკვე დასრულდა ტრენინგის ექვსი მოდულის საცდელი ფაზა ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, მათემატიკის, გეოგრაფიისა და ინგლისური ენის სწავლებაში. საცდელ ფაზაში ცენტრის 132 ტრენერი იღებდა მონაწილეობას.

„აქტიური სწავლება მასწავლებლებში" ტრენინგი ითვალისწინებს რეალური სასწავლო გარემოს მოდელირებას, სადაც მასწავლებლებს საშუალება ეძლე ვათ საკუთარ თავზე გამოსცადონ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომების ძირითადი პრინციპები, უშუალოდ დაინახონ მათი სარგებელი და შეიმუშაონ ამ მიდგომების სასწავლო პრაქტიკაში ინტეგრირების გეგმა.

ტრენინგებზე შეძენილი ცოდნა და უნარები მასწავლებლებს დაეხმარება სასწავლო პროცესი მეტად სახალისო, ინტერაქტიული, პრაქტიკულ ცხოვრებასთან დაკავშირებული და XXI საუკუნის მოსწავლის მოთხოვნებსა და ინტერესებზე მორგებული გახადოს. ტრენინგის დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კვლევებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდებს.

სუფთავდება ქალაქი, სუფთავდება გარემო

გაზაფხულის დადგომასთან ერთად, დაიწყო ჩვენი ქალაქის დასუფთავების სამუშაოები, რომელსაც ა(ა)იპ „ხაშურსერვისი" აწარმოებს. ყოველდღიურად ხდება ქუჩების, მოედნების, სკვერების და სხვა საზოგადოებრივი ადგილების დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან ქალაქის გაწმენდა. კონკრეტულად, კი ნარჩენებისგან თითქმის მთლიანად გაიწმინდა ივერიის სტადიონისა და 9 აპრილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია. სამუშაოები გრძელდება, რათა სუფთა გარემოში, სუფთა ქალაქში ვიცხოვროთ, ამაში კი, მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქის თანამომაწილეობა. მხოლოდ ერთი, კონკრეტული სამსახურის მუშაობა შედეგს არასდროს მოიტანს.

მდინარე მტკვრის მონაკვეთი ქვიშხეთიდან ⌘ ხცისამდე 25 წლიანი იჯარით ჰოლანდიურ კომპანიას "ეილი გრუპს" გადაეცა

ამ დღეებში ცნობილი გახდა , რომ მდინარე მტკვრის მონაკვეთი, ქვიშხეთიდან სოფელ ხცისის ხიდამდე, 25 წლიანი იჯარით სარგებლობისათვის ჰოლანდიურ კომპანიას („ეილი გრუპი") გადაეცა. როგორც ბუნების დაცვის სამინისტროს წყლის რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსმა გიზო კვარაცხელიამ განაცხადა, პროექტი სამი წელი მუშავდებოდა და საბოლოოდ

დასრულდა.. პროექტის მიხედვით, მდინარე მტკვარი დაიყო 76 მონაკვეთად და თითოეულის 25 წლიანი იჯარის ღირებულება 500-დან 800 ათას ლარამდე მერყეობს. ამასთან, მყიდველმა კომპანიამ უნდა აიღოს ვალდებულება, რომ აღნიშნულ მონაკვეთზე, დამატებით, სულ მცირე, მილიონიან ინვესტიციას განახორციელებს(მცირე ჰესები, თევზსაშენი მეურნეობები, მელიორაციის სისტემები და სხვა) იჯარით აღების მსურველ კომპანიებს უფლება აქვთ შეუზღუდავად აიღონ ნებისმიერი მონაკვეთი. ერთი და იგივე მონაკვეთზე რამდენიმე მსურველის შემთხვევაში კი, ცხადდება აუქციონი. სწორედ აუქციონის შედეგად გამოვლინდა ზემოაღნიშნული მონაკვეთის(ქვიშხეთი-ხცისი) მფლობელი, რომელმაც აუქციონის შედეგად ამ მონაკვეთში მილ

ლიონ 261 ათასი ლარი გადაიხადა. მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ გადახდილი თანხის 50 პროცენტი იმ მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში რჩება, რომლის ტერიტორორიაზეც მდებარეობს გაყიდული მონაკვეთი(ხაშურის ბიუჯეტი ამ გარიგებიდან 600 ათასზე მეტი ლარით შეივსება).

ბრიფინგზე, რომელიც ენერგეტიკის სამინისტროში გაიმართა, „ეილი გრუპის" დირექტორთა საბჭოს თავჯდომარემ, შარლ ბრაუნმა განაცხადა, რომ აღნიშნულ მონაკვეთზე მურწის და ხრამულის ჯიშის თევზების გამრავლებას აპირებენ, რომელიც მოსახლეობაში მათი ნაირსახეობითაა ცნობილი - „ციმორი" და „ლურჯი". დანაკარგის აცილების მიზნით, სათივისა და ხცისის ხიდებთან გაკეთდება დამცავი ბადეები, რომ მათ მიერ გამრავლებული თევზი სხვა მონაკვეთში არ გადაადგილდეს. დამატებით კი ისინი აპირებენ 10 მილიონამდე ამ ჯიშის თევზების ლიფსიტების გაშვებას. სამრეწველოდ გამოიყენებენ მხოლოდ ორწლიან(ან მეტ) თევზებს და პროექტის დაწყებიდან უკვე მესამე წელს დაახლოებიტ 800 ტონამდე პროდუქციის მიღებას გეგმავენ. ათი წლის შემდეგ კი ეს რიცხვი 5 ათას ტონამდე გაიზრდება.

ოფიციალური ხელშეკრულება „ეილი გრუპსა" და ბუნების დაცვის სამინისტროს შორის უკვე ხელმოწერილია და პროექტი მოქმედებას 15 აპრილიდან

დაიწყებს, რის შემდეგაც მტკვრის ამ მონაკვეთზე ყოველგვარი თევზაობა ან ღორღის მოპოვება აიკრძალება.

გ. მაღრაძე

⌘ სურამში, ,,კინოს პარკი" ფრანგულმა კომპანიამ ,,Kids Fun"-მა შეიძინა

სამთვიანი მოლაპარაკების პროცესი დასრულდა და სურამში მდებარე, ეგრეთ წოდებული, „კინოს პარკი" სრულ მფლობელობა-

ში გადაეცა ფრანგულ კომპანია „ Kids Fun"-ს. აღნიშნული კომპანია პარიზის უცნობილესი „დისნეილენდის" შვილობილი კომპანიაა და თავის წარმომადგენლობა მსოფლიოს 36 ქვეყანაში აქვს. იგი მცირე საბავშვო პარკებზეა ორიაენტირებული, სადაც განსკუთრებული ორიგინალური კონსტრუქციების ატრაქციონებს ითვისებს.

– „კინოს პარკით" ჯერ კიდევ გასულ წელს დავინტერესდით, განაცხადა კომპანიის მარკეტინგის დეპარტამენტის მენეჯერმა რენე რენუამ. – ეკონომიკის სამინისტრო იმთავითვე მზად იყო, კერძო მფლობელობაში გადასულიყო აღნიშნული ობიექტი, მაგრამ სირთულეს ქმნიდა პარკის ტერიტორიაზე არსებული კონოთეატრის შენობა, რომელიც სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის" მფლობელობაში გახლდათ. საბედნიეროდ, ამ სააქციო საზოგადოების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებაც წარმატებით დასრულდა და დღეს ეს პარკი და კინოთეატრის შენობაც „Kids Fun"-ის საკუთრებაა.

ბუნებრივია, ჩვენ ამ კომპანიის გეგმებითაც დავინტერესდით.

–15 აპრილიდან აქ სრული ძალით დაიწყება სამშენებლო სამუშაოები, - განაცხადა ბატონმა რენემ. – მთლიანობაში, დაახლოებით, 2.5 მილიონი დოლარის ინვესტირება მოხდება. სრულიად შეიცვლება კინოთეატრის შენობა და აქ ინოვაციური ტექნოლოგიების ატრაქციონები განთავსდება. პარალელურად ორი მცირე დარბაზიც გაკეთდება, რომლებშიც 3D ფორმატის კინოსეანსები გავა ბავშვებისათვის. თითოეული დარბაზი 100 მაყურებელზე იქნება განკუთვნილი და აღიჭურვება „დოლბის" სისტემის აპარატურით. რაც შეეხება თვითონ პარკს: აქ დაახლოებით 50 სხვადასხვა ულტრათანამედროვე ატრაქციონი ამოქმედდება, რომლის მსგავსი, სხვათაშორის, საქართველოში ჯერ არ არის, თუმცა სურამის შემდეგ, მსგავსი, სხვათაშორის, საქართველოში ჯერ არ არის, თუმცა სურამის შემდეგ, მსგავსი მცირე პარკების ამოქმედებას ბორჯომში, ქუთაისში და ბათუმში ვგეგმავთ და, ბუნებრივია, ასეთი ატრაქციონები იქაც განთავსდება. აქვე იქნება ორი საბავშვო კაფე, რომელიც მთლიანად ბავშვებზე იქნება ორიენტირებული და სწრაფი კვების ფრანგული კულინარიის შედევრებს ბავშვები აბსოლიტურად მისაწვდომ ფასებში დააგემოვნებენ. პარკი 10 ივლისისათვის სრულად ამოქმედდება. აქვე გვინდა ვაცნობოთ სურამლებს და ნებისმიერ დამსვენებელს, პარკის ტერიტორიაზე მკაცრად იკრძალება სიგარეტის მოწევა და ნებისმიერი ალკოჰოლისშემცველი სასმელის შეტანა. ამკრძალავი აბრები შესასვლელშივე დამონტაჟდება და დამრღვევი, ჯარიმასთან ერთად, გაძევებული იქნება პარკის ტერიტორიიდან. ყოველ შაბათ საღამოს კი აქ პატარა სცენაზე, ღია საბავშვო კონცერტები გაიმართება, სადაც მოწვეულნი იქნებიან საქართველოში ცნობილი სტუდიები „ბასტი-ბუბუ", „ბზიკები", „გვირილა", „ენკი ბენკი" და სხვები. მოკლედ, გეგმები დიდი გვაქვს და იმედია, ჩვენს ჩანაფიქრს წარმატებით განვახორციელებთ...

სურამში მთელი თაობები ოცნებობენ, რომ ევროსტანდარტების დონის პარკი ჰქონოდათ. ამას ითხოვდნენ დამსვენებლებიც და აგერ, ყინული დაიძრა, რაც ძალზედ სასიხარულო მოვლენაა.

გ.კიკნაძე

ჩვენი გოგონები საქართველოს ვიცეჩემპიონები არიან

ირმა ლომიძე-ტურნირი საუკეთესო ფეხბურთელი

ქალთა ფეხბურთში, ხაშურს რომ ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს საქართველოში, არახალი თემაა. თემურ კობერიძის დამოძღვრილი გოგონები თითქმის ყოველ წელს გვანებივრებენ წარმატებით და გამონაკლისი არც წელს ყოფილა. ამ დღეებში, ზესტაფონში, დასრულდა საქართველოს პირველობა, დარბაზის ფეხბურთში, გოგონათა შორის. ჩვენმა გოგონებმა პირველ შეხვედრაში ადვილად სძლიეს ქუთაისის გუნდს–4:1. მათ არც შემდგომ მეტოქესთან გაჭირვებიათ, - ქობულეთის გუნდი 4:0 დაამარცხეს, წალენჯიხელებს 4:2 მოუგეს, ახალციხის გუნდი კი საერთოდ უშანსოდ დატოვეს–9:1. მათ მხოლოდ ფინალურ ბრძოლაში არ წაუვიდათ თამაში და ლანჩხუთის "გურიასთან" 4:2 დათმეს. თუმცა, ვერცხლის მედალიც, უდავოდ, დიდი წარმატებაა.

თან, თუ ამას დავუმატებთ, რომ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ხაშურელი ირმა ლომიძე დასახელდა, ეს მართლაც ჩვენი სასპორტო სკოლის კიდევ ერთ აღიარებას ნიშნავს.

ვულოცავთ მწვრთელს და თითოეულ მოთამაშეს ამ წარმატებას და იმედია, მათი სახით მომავალში ჩემპიონებიც გვეყოლება.

⌘ ამ სიმბოლოთი აღნიშნული სტატიები საპირველაპრილო ხუმრობებია

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.